ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2023-წლის ივლისიდან 2024-წლის ივლისამდე განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობას წარმართავდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად.

2023წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 ივლისამდე კომისიამ ჩაატარა 12 კომისიის სხდომა.კომისიაში გაწევრიანებულია 9 წევრი.კომისიის სხდომებს იწვევდა და წარმართავდა კომისიის თავმჯდომარე.საკითხებს განვიხილავდით მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურთან,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან კოორდინირებული მუშაობის რეჟიმში. მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ჯანდაცვისა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვს 64,5 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა (2023 წ. გეგმა _1906,2 ათ. ლარი, მიმდინარე წლის გეგმა განისაზღვრა 1971,1 ათ. ლარით). მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 23 ქვეპროგრამით. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სოციალური მიმართულებით მუშაობს 21 ქვეპროგრამა. წარმოგიდგენთ იმ ქვეპროგრამებს რომლებშიდაც კომისისა და მერიის ჯამრთელბისა და სოციალურ სამსახურის ერთობლივი რეკომენდაციის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები.

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და რამდენიმე ქრონიკული დაავადების მედიკამენტების დაფინანსებას. ქვეპროგრამაზე მიმდინარე წელს დაგეგმილია 490,0 ათასი ლარი. გასული წლის ხარჯმა შეადგინა 478,79 ათასი ლარი. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1118 მოქალაქემ.

შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას და ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას. კოხლეარული იმპლანტის ელემენტით ყოველწლიურად სარგებლობს 3 არასრულწლოვანი, მომვლელის დახმარებით გასულ წელს სარგებლობდა 56, ხოლო მიმდინარე წელს მოსარგებლეა 61 შშმ პირი. ყოველთვიური დახმარება მათზე 2024 წელს გაიზარდა 70 ლარამდე. ასევე, მიმდინარე წელს გაიზარდა შშმ ბავშვთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 1400 ლარამდე. ქვეპროგრამაზე გასულ წელთან შედარებით დაიგეგმა 5,0 ათასი ლარით მეტი.

ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ქვეპროგრამის განსახორციელებლად მიმდინარე წელს დაგემილია 380,0 ათასი ლარი, 153,7 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გასელ წელს. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1581 მოქალაქემ და დაიხარჯა 345,4 ათასი ლარი.

მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამით გასულ წელს დახმარება განსაზღვრული იყო ყოველთვიურად 50 ლარი. მიმდინარე წლიდან თანხა გაიზარდა 70 ლარამდე. ქვეპროგრამით გასულ წელს

სარგებლობდა 17 მარტოხელა მშობელი, მიმდინარე წელს სარგებლობს _ 21 ბენეფიციარი.

მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება. დახმარების მიმღებია დედით ან მამით ობოლი ან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული 21 წლამდე ასაკის პირი. ქვეპროგრამით წინა წლებში დახმარება გაიწეოდა ერთჯერადად. ამჟამად დახმარება გაიწევა ყოველთვიურად, ბენეფიციარზე 50 ლარის ოდენობით. გასული წლის დასაწყისში ქვეპროგრამით სარგებლობდა 36 ბენეფიციარი, მიმდინარე წელს მოსარგებლეა 49. საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 96 ბენეფიციარმა.

ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიარები არიან უსინათლოები და დევნილები. მიმდინარე წელს აპრილის თვიდან დახმარება განსაზღვრულია 70 ლარით. საშუალოდ მოსარგებლეა 90 მოქალაქე.

სადღესასწაულო დღეების დახმარება მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. ქვეპროგრამით სისტემატურად მოსარგებლეა 19 ბენეფიციარი, სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებში დამატებით დახმარება გაცემულია 1368 ოჯახზე.

სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას, უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებლით (ბინის ქირით) უზრუნველყოფას. გასულ წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 6 მოქალაქეს, ამ ეტაპზე მოსარგებლეა 16 პირი. აღსანიშნავია, რომ მოსარგებლეთა რაოდენობა გაზრდილია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების დასკვნების საფუძველზე იმ პირთა მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ მომეტებული საფრთხის ქვეშ და საჭიროებენ განსახლებას. სტიქიის შედეგად

დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა კატეგორიის 92 ოჯახს გაეწია დახმარება 87,4 ათასი ლარით. მათ შორის, პირველი კატეგორია - 8 ოჯახი, მეორე კატეგორია - 79 ოჯახი, მესამე კატეგორია - 5 ოჯახი. საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული 135 მოქალაქისთვის შეძენილი იქნა სახურავის თუნუქი და შესაბამისი ხე-მასალა.

უფასო სასადილოს დაფინანსება გასულ წელთან შედარებით 35.0 ათასი ლარით მეტი, ანუ 250.0 ათ. ლარი დაიგეგმა. სათნოების სახლი ემსახურება 160 ბენეფიციარს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე.

სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა მოიცავს საგრანტო პროექტების თანადაფინანსებას. როგორც მოგეხსენებათ, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვის მიზნით 2020 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო საგრანტო პროექტი, რომლის ფარგლებში დაინერგა საჭიროების ან რისკის მქონე 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში ადრეული განვითარების სპეციალისტის მომსახურება. მშობლების მომართვის შემდეგ გამოიკვეთა მეტყველების თერაპევტის საჭიროება, რომელსაც მუნიციპალიტეტის სრულად აფინანსებს, რის შედეგადაც მშობლებს არ უწევთ ამ მომსახურების მისაღებად სხვა მუნიციპალიტეტში გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. საგრანტო პროექტის დასრულების შემდგომ სერვისის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით გრძელდება თანამშრომლობა მომწოდებელ ორგანიზაციასთან. პროგრამით მეტყველების თერაპევტის მომსახურებით სარგებლობს საშუალოდ 17

ბავშვი, ხოლო ადრეული ინტერვენციის ქვეპროგრამის მიმღები გასულ წელს იყო 8 ბავშვი, მიმდინარე წელს არის 3 ბავშვი.

მეორე წელია, ვთანამშრომლობთ საქართველოს წითელ ჯვართან, რომელმაც გასულ წელს განახორციელა არაერთი აქტივობა, რაც წელსაც გრძელდება. საანგარიშო პერიოდში ბავშვთა განყოფილების ჩართულობით სხვადასხვა სახის სასაჩუქრე პაკეტები ოთხ ეტაპად გადაეცა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ პირებს.

გასულ წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის მერიის და ასოციაცია ანიკას ურთიერთთანამშრომლობით ა(ა)იპ ნაბიჯი ხარაგაულის მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა ახალი პროექტი, რომელიც მოიცავდა შინმოვლის ინტეგრირებულ პროექტს, პროექტის ფარგლებში მომსახურებას იღებდა 50 ბენეფიციარი.

შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლად მიმდინარე წელს დარეგისტრირდა ააიპ სათნოების სახლი, რომელსაც ყავს ზემოთხსენებული პროექტის განხორციელების შედეგად გადამზადებული სერთიფიცირებული პერსონალი და უახლოეს მომავალში მოემსახურება ბენეფიციარებს.

გასული წლიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამა, ქვეპროგრამა წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას, მიტოვების პრევენციას, კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას. ქვეპროგრამით მიმდინარე წელს 28 არასრულწლოვანის დახმარების მიზნით გაცემულია 42,6 ათ. ლარი.

კონკრეტული მდგომარეობის მიხედვით დგინდება გასაწევი დახმარების ფორმა და მოცულობა. კონსულტაცია ეწევა ინდივიდებს, არასრულწლოვანთა ოჯახებს და საზოგადოების სხვა წევრებს ფსიქიკური ჯანმრთელობის, სიღარიბის, უმუშევრობის ნარკოტიკული ნივთიერების მავნებლობის, ძალადობის, რეაბილიტაციის, ბავშვის მოვლისა და სამედიცინო დახმარების საკითხებში.

საანგარიშო პერიოდში ბავშვთა განყოფილებაში განხილულია 29 შემთხვევა (სულ ნაწარმოების 82 ქეისი - 44 გოგო, 38 ბიჭი). 29 შემთხვევიდან დახურულია - 3, რეფერირებულია - 3 (მათ შორის 2 - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის სააგენტოში, ხოლო 1 - შსს-ში, მანდატურის სამსახურში და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში). გადმომისამართებულია - 2, (მათ შორის 1 - დმანისის მუნიციპალიტეტიდან, ხოლო 1 - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის სააგენტოდან). სოც მუშაკის მიერ განხორციელებულია ყველა ოჯახში ვიზიტი, შეფასებულია ოჯახები და შევსებულია არასრულწლოვნების სკრინინგის ფორმები. ჯამში მოკვლეულია 82 ბავშვი. სოც მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე შექმნილია ინდივიდუალური ქეისი.

ბავშვთა მხარდაჭერის განყოფილება 2023 წლის მაისიდან არის საერთაშორისო ორგანიზაცია „world vision - საქართველოს“ პროექტის - „ბავშვის უფლებათა კოდექსის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ სამიზნე მუნიციპალიტეტი, რომლის ფარგლებშიც, განყოფილების თანამშრომლებმა სპეციალობის მიხედვით გაიარეს სასწავლო ტრენინგები, ასევე პროექტის ფარგლებში ბავშვთა მხარდაჭერის განყოლფილებაში ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნული ორგანიზაციის პროფესიული ზედამხედველი (სუპერვიზია), რომელიც განყოფილების სოც მუშაკს ეხმარებოდა ელექტრონული დოკუმენტაციის წარმოებაში ოჯახების შეფასებისა და ადმინისტრაციული საქმის წარმოების ნაწილში. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის წარმომადგენელმა ბავშვთა

განყოფილების კოორდინატორთან ერთად, ჩაატარა შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საჯარო სკოლების დირექტორებთან - ბავშვთა დაცვისა და ქეისების რეფერირების კომპონენტში სკოლის პასუხისმგებლობაზე. ასევე პროექტის ფარგლებში ანალოგიური შეხვედრა ჩატარდა მერის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2023 წლის მაისიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტი შეირჩა საქართველოს მასშტაბით 10 საპილოტე მუნიციპალიტეტს შორის, რომლის ფარგლებშიც ბავშვთა განყოფილების მულტიპროფილური გუნდი მონაწილეობს პროექტში - „მუნიციპალურ ჯგუფებში მუშაობა სხვადასხვა უწყებების ჩართულობით“. პროექტი ხორციელდება გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ვიცეპრეზიდენტის, ქალბატონ სოფო კილაძის ინიციატივით და გულისხმობს ონლაინ რეჟიმში შეხვედრების ჩატარებას თვეში ერთხელ, სადაც რამდენიმე უწყების წარმომადგენლებთან ერთად კონფიდენციალურობის დაცვით განიხილება კონკრეტულ შემთხვევებს ბენეფიციარებისთვის დროული და უწყვეტი სერვისების მიწოდების მიზნით. აღნიშნული პროექტიდან გამომდინარე, იგეგმა ბავშვთა განყოფილებისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის კარგი პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს ყოველგვარი ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე გამართულად მოხდეს მუშაობა საერთო ქეისების შემთხვევაში. აღნიშნული მუნიციპალური ჯგუფის მუშაობის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით, 2024 წლის აპრილის თვეში მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება მისი აქტიური საქმიანობიდან და ათეულობით წარმატებული ქეისიდან გამომდინარე მოხვდა საქართველოს მასშტაბით ორ საპილოტე მუნიციპალიტეტს შორის(ხარაგაული, ბოლნისი), სადაც სახელმწიფო უწყებების ინიციატივით და გერმანიის საელჩოს დაფინანსებით განხორციელდება ინოვაციური პროექტი - „პოზიტიური მშობლობა“. ამ ეტაპზე პროექტის განსახორციელებლად უკვე გადაგზავნილია 10 ბენეფციარის მონაცემი.

განყოფილების მუშაობის შედეგად, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერით, მოხდა ისეთი ოჯახების აღრიცხვა სადაც ცხოვრობენ არასრულწლოვნები და საჭიროებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერას. ეტაპობრივად ხორციელდება ვიზიტები ასეთ ოჯახებში.

განყოფილების მიერ მოხდა არასრულწლოვან შშმ პირთა ბაზის შექმნა (სტატუსიანი, უსტატუსო) რაც ხელს უწყობს, აღნიშნული მოწყვლადი ჯგუფი ჩავსვას სხვადასხვა, როგორც მუნიციპალურ, ასევე სახელმწიფო პროგრამებში, რათა დაცული იქნას მათი უფლებები და ქონდეთ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.

განყოფილების საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტარდება შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შეხვედრა ჩატარდა დაბის #3 და #2 საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, ასევე სოფელ ხევის, ბორის, მარელისის, ლეღვნის საჯარო სკოლებში, (თემა ბულინგი, ძალადობის სახეები, აზარტული თამაშები) რომელშიც მონაწილეობდა განყოფილების ყველა თანამშრომელი.

განყოფილების მულტიპროფილური გუნდის ინიციატივით პერიოდულად ხორციელდება საქველმოქმედო აქტივობები, რომლის ფარგლებშიც საჭიროების მიხედვით ბენეფიციარებს მიეწოდებათ სეზონურ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სხვა საჭირო ნივთები, საკანცელარიო მასალა და განმავითარებელი რესურსი.

2023 წლის აგვისტოს თვეში, ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს წევრების ერთობლივი ინიციატივით, ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, საზაფახულო კარვების ბანაკის სამი ნაკადის არასრუწლოვნებთან ბავშვთა უფლებების თემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

როგორც გასულ წელს, ასევე მიმდინარე წელსაც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესათან დაკავშირებით მოეწყო ღონისძიება ბავშვებისთვის, სადაც მოწვეული იყვნენ ზღაპრის გმირები.

პერიოდულად ხდება მონიტორინგი სამიზნე ოჯახებთან, რათა მომავალში სწორად განისაზღვროს ისეთი მომსახურებები, რომელსაც ბენეფიციარები საჭიროებენ.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის სოციალურ პროგრამებზე 2023 წელს გამოყოფილი იქნა 27868 ლარი. მიმდინარე წელს დღემდე გამოყოფილი იქნა 17700 ლარი. ისარგებლა 19 ბენეფიციარმა.
- ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. წარმატებით ხორციელდება გეგმიური ვაქცინაციის პროცესი და ეპიდზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში მონიტორინგი მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. სჯც ანხორციელებს C ჰეპატიტსა და შიდსზე სწრაფ ტესტირებას და ც ჰეპატიტზე სკრინინგ დადებითი პირების შემდგომი კვლევის, მკურნალობაში ჩართვისა და მიდევნების პროგრამას. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინიგის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სკრინინგის მსურველი ბენეფიციარების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამსახური. ინტერნეტ გვერდის მეშვეობით საზოგადოებას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა დაავადების, აქტუალური სამედიცინო თემებისა და ზოგადად პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

2024 წლის 6 თვის მანძილზე აღრიცხული ინფექციები:

1.ტუბერკულოზის 7 საეჭვო შეტყობინება, აქედან დადასტურებულია მხოლოდ 1 შემთხვევა.

2. ბრუცელოზის 4 საეჭვო-შესაძლო შემთხვევა 3 - უარყოფითი შედეგით, 1 დადებითი შედეგით.

3. სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა 80 შემთხვევა;

4. ლეპტოსპიროზი 5 სავარაუდო შემთხვევა;

5. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება 1 შემთხვევა;

6. ყივანახველა 1 სავარაუდო შემთხვევა;

7. ნოზოკომური ინფექცია 2 შემთხვევა.

8. ჩუტყვავილა 37 შემთხვევა.

ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწვრის, დადორბვლის გვქონდა 69 შემთხვევა

მიმდინარე 6 თვის მანძილზე, პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიას თვითდინებით მომართა 30 მოქალაქემ, დაფიქსირდა პარაზიტული დაავადებების 8 შემთხვევა.

სულ 6 თვის განმავლობაში ჩატარებულია 117 ც ჰეპატიტის ტესტი და 201 შიდსის ტესტი. (1 დადებითი შედეგი ც ჰეპატიტზე)

გასული ექვსი თვის განმავლობაში აცრების მოცვის მაჩვენებელია 41 - 59 % სხვადასხვა ვაქცინაციის შემთხვევაში.

2024 წლის მეორე ნახევარში ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯამრთელობის ცენტრთან ერთად იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევები.